საქართველოს იურისტთა კავშირი

GEORGIAN LAWYERS' UNION СОЮЗ ЮРИСТОВ ГРУЗИИ

ჟურნალი გამოდის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ტექნიკური მხარდაჭერით

The journal is editted with the technical support of United Nations High Commissioner for Refugees

Журнал выходит при технической поддержке Верховного Комиссариата ООН по делам Беженцев

«ს ა მ ა რ თ ა ლ ი»

სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი

"LAW"

Scientific-practical juridical journal

"ПРАВО"

Научно-практический юридический журнал

№4-5, 2003

ISSN 0868-4537

© ჟურნალი „სამართალი", 2003
© Journal "Law", 2003
© Журнал "Право", 2003

მისამართი: 380094, თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29ᵃ
Address: 29ᵃ Mitskevichi str., Tbilisi, 380094
Адрес: 380094, Тбилиси, ул. Мицкевича №29ᵃ

Phone/Fax 39 19 92 **E-mail:** glu@wanex.ge

Search guide

CONSTITUTIONAL LAW

Valeri Khaburdzania – Sovereignty in the Georgian Legal Mindset 7

Vasil Gonashvili – Validity of the Parliament Member Mandate in Foreign Countries 14

CIVIL LAW, PROCEDURE

Besarion Zoidze, Tamar Zarandia – The Doctrine Concerning Legal Nature of Term (extent) 18

Policarpe (Temur) Moniava – Business Reputation of a Private Person 26

Baadur Kipiani – Concerning the Issue of Modern Bank Organizations Classification 28

Levan Nanobashvili – Organization of Broadcasting, as the Subject to Adjacent Right in the Copyright 33

David Todradze – Alternative Possibilities of International Economic Disputes Settlement 39

George Tumanishvili (junior) – Marriage Contract, as one of the Regulating Bases of Property Relation Existing Between Spouses 46

Maia Mgeladze – The Concept and Essence of the Agreement about Tourism 52

CRIMINAL LAW, CRIMINOLOGY

Zaza Berozashvili, Tamaz Zakarashvili – Bearing Responsibility for Illegal Consumption of Drugs in Some EU Countries 60

Yuri Gabisonia – Central Legal and „Adjacent" Problems of Modern International, Regional and National Struggle against Criminality Connected to Drugs (Compact comparative analysis of some aspects) 63

Joseph Alavidze – False Report on Terrorism 70

David Tsulaia – Some Aspects of Avoidance of Economic Crimes 75

CRIMINAL PROCEDURE, CRIMINALISTICS

Shota Papiashvili – An Attempt to Adequately Protect and to Continue Scientific – Pedagogical Traditions 85

Omar Jorbenadze – Detention, as a Procedural Criminal Measure 89

Shengeli Pitskhelauri – Polygraph in Investigation of a Crime 98

Merab Jacobadze – Some Aspects of Principles of Publicity and Disposability in Criminal Legislation 101

George Chanturidze – Procedural Features of the Defense Counsel Work During Preliminary Investigation 105

Mamuka Gviniashvili – The Judicial Reform Proceeds 109

ADMINISTRATIVE LAW, PROCEDURE

Maka Salkhinashvili – Some Considerations Concerning the Draft Code of Georgia „About Administrative Offence and its Procedures" 112

Ia Kharazi – The Role of Customs Modes in the System of Legal Modes 114

George Meladze – The State as Guarantor of Creating Competitive Environment 118

Ani Morgoshia – German Traditions in the Sphere of Disciplinary Responsibility for Civil Servants 120

Eka Nikoladze – Customs Organizations of Democratic Republic of Georgia 122

INTERNATIONAL LAW

Rusudan Oboladze – Some Issues on Reflection of the Requirements Stipulated in Article 8-th of European Convention for Protection of Human Rights and Fundamental Freedoms in Georgian Legislation 126

Katherine Zodelava – Prospects of Formation of the Transport corridor Europe-Caucasus-Asia (TRACECA) to an International Organization 134

Maia Bitadze – International Legal Institutions Connected to the Sphere of Biosafety and Analysis of Prospects of their Introduction in Georgia 139

Besik Buturishvili – Execution of Foreign Arbitral Sentences Abolished by the Competent Legislating Court 144

HISTORY OF STATE AND LAW, THEORY

George Davitashvili – Alexander Kazbegi about Khevsurian Law of Habits 147

George Tumanishvili – Larceny in the Angle of Delict Duties According to Ancient Delict Right 152

Naira Nakashidze – Historical Aspect of a Legal State Idea 156

Mariam Khoperia – Providence of Bridal Possessions in the Case of Marriage Cancellation 158

Rezume 160

Резюме 165

Оглавление

КОНСТИТУЦИОННОЕ ПРАВО

Валерий Хабурдзания – Суверенитет в грузинском правовом мышлении 7

Васил Гонашвили – Срок действия мандата члена парламента в зарубежных странах 14

ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО, ПРОЦЕСС

Бессарион Зоидзе, Тамар Зарандия – Доктрина, касающаяся правовой природы сроков (времени) 18

Поликарпе (Темур) Мониава – Деловая репутация физического лица 26

Баадур Кипиани – К вопросу о классификации современных банковских организаций 28

Леван Нанобашвили – Организация вещания, как субъект смежных прав в авторском праве 33

Давит Тодрадзе – Альтернативные возможности разрешения внешних экономических споров 39

Георгий Туманишвили (младший) – Брачный контракт, как одно из оснований регулирования, имущественных взаимоотношений, существующих между супругами 46

Майя Мгеладзе – Понятие и суть договора о туризме 52

УГОЛОВНОЕ ПРАВО, КРИМИНОЛОГИЯ

Заза Берозашвили, Тамаз Закарашвили – Несение ответственности за незаконное потребление наркотиков в некоторых странах-членах Евросоюза 60

Юрий Габисония – Узловые правовые и «смежные» проблемы современной международной, региональной и национальной борьбы с преступлениями, связанными с наркотиками (Компактный сравнительный анализ некоторых аспектов) 63

Иосиф Алавидзе – Ложное сообщение о терроризме 70

Давит Цулая – Некоторые аспекты избежания экономических преступлений 75

УГОЛОВНЫЙ ПРОЦЕСС, КРИМИНАЛИСТИКА

Шота Папиашвили – Пытаемся достойно защитить и продолжить научно-педагогические традиции 85

Омар Джорбенадзе – Задержание, как процессуальное уголовное мероприятие 89

Шенгели Пицхелаури – Полиграф в расследовании преступления 98

Мераб Якобадзе – Некоторые аспекты принципов гласности и диспозитивности в уголовном правопроизводстве 101

Георгий Чантуридзе – Процессуальные особенности деятельности защитника в процессе предварительного расследования 105

Мамука Гвиниашвили – Судебная реформа продолжается 109

АДМИНИСТРАТИВНОЕ ПРАВО, ПРОЦЕСС

Мака Салхинашвили – Несколько соображений, касающихся проекта кодекса Грузии «Об административном проступке и его делопроизводстве 112

Ия Харази – Место таможенных режимов в системе правовых режимов 114

Георгий Меладзе – Государство – гарант обеспечения конкурентоспособной среды 118

Ани Моргошия – Немецкие традиции в сфере дисциплинарной ответственности государственных служащих 120

Эка Николадзе – Таможенные организации демократической республики Грузия 122

МЕЖДУНАРОДНОЕ ПРАВО

Русудан Оболадзе – Несколько вопросов об отражении требований статьи 8-ой Европейской Конвенции по правам и основным свободам человека в законодательстве Грузии 126

Екатерина Зоделава – Перспективы сформирования транспортного коридора Европа-Кавказия-Азия (ТРАСЕКА) в международную организацию 134

Майя Битадзе – Международные легальные институты, связанные со сферой биобезопасности и анализ перспективы внедрения их в Грузии 139

Бесик Бутуришвили – Исполнение зарубежных арбитражных решений упраздненных компетентным правопорядковым судом 144

ИСТОРИЯ ГОСУДАРСТВА И ПРАВА, ТЕОРИЯ

Георгий Давиташвили – Адександр Казбеги о хевсурском обычном праве 147

Георгий Туманишвили – Воровство в ракурсе деликтных обязанностей в соответствии с древним деликтным правом 152

Наира Накашидзе – Исторический аспект идеи правового государства 156

Мариам Хоперия – Судьба приданного в случае прекращения брака 158

Rezume 160

Резюме 165

გიორგი თუმანიშვილი
(უმცროსი)

საქორწინო კონტრაქტი, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი

შესავალი

1997 წლიდან 2003 წლის 1 იანვრამდე საქართველოში სანოტარო წესით დამოწმებული არის 7 საქორწინო კონტრაქტი. ამათგან 5 შემთხვევაში კონტრაქტის ხელმომწერი ერთ-ერთი მხარე უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ხოლო ორ შემთხვევაში ორივე მხარე საქართველოს მოქალაქეები არიან. აღნიშნული რიცხვი, დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით, საკმაოდ მცირეა. ზემოაღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტმა ჯერ ვერ დაიმკვიდრა სათანადო ადგილი ქართული საზოგადოების სინამდვილეში. უკანასკნელის მიზეზად შემიძლია დავასახელო:

1. საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე /საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის შესახებ/;
2. მენტალური ელემენტი;
3. გამომდინარეობს პირველი ორი მიზეზიდან:

საქორწინო კონტრაქტის შესაძლებლობების და საშუალებების არცოდნა და შესაბამისად ზერელად შეფასება.

ჩემს მიერ ჩატარებულმა არაერთმა გამოკითხვამ თუ გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ საზოგადოებაში არსებობს გარკვეული ინფორმაციული ვაკუუმი განსახილველად აქ წარმოდგენილი საკითხისადმი. სწორედ ამ ვაკუუმის შეძლებისდაგვარად შევსების სურვილმა განაპირობა წარმოდგენილი სტატიის შექმნის აუცილებლობა, რომელიც, ვფიქრობ, დაგვეხმარება საქორწინო კონტრაქტის სხვადასხვა მხარის სამართლებრივ ჭრილში ახლებურად დანახვაში.

წინამდებარე სტატია ეძღვნება საქორწინო კონტრაქტის საკითხს, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთ საფუძველს.

სტატია შედგება ოთხი ნაწილისაგან, რომლებშიც განხილულია საქორწინო ხელშეკრულების ცნების, შინაარსის, უფლება-მოვალეობათა შეზღუდვის და საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხები.

ნაწილი I

საქორწინო კონტრაქტი არის ორმხრივი გარიგება დადებული დასაქროწინებელ პირებს ან მეუღლეებს შორის, რომელიც განსაზღვრავს მეუღლეების ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

საქორწინო ხელშეკრულება საოჯახო-სამართლებრი გარიგებაა, (მაგრამ თავის არსში ასევე მეტად წააგავს ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას). იგი გამოირჩევა თავისი სპეციფიურობით. მის სპეციფიურობას განაპირობებს: ხელშეკრულების მხარეები (მეუღლეები და დასაქორწინებელი პირები), ხელშეკრულების შინაარსი და ხელშეკრულების საგანი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქორწინო ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს: მხარეთა ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის თავისუფლება, გარიგების შინაარსის კანონიერება, დადგენილი ფორმა.

საქორწინო ხელშეკრულების საგნის სპეციფიურობა გახლავთ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების პირობები შეიძლება ეხებოდეს არა მარტო უკვე არსებულ, არამედ მომავალში, ქორწინების განმავლობაში მეუღლეების მიერ შეძენილ ნივთებსა და უფლებებს.

საქორწინო ხელშეკრულება და ქორწინება მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან ერთმანეთთან. მაგალითად: თუ ქორწინების არსებობა საქორწინო ხელშეკრულების გარეშე შესაძლებელია, საპირისპირო ანუ საქორწინო ხელშეკრულების არსებობა ქორწინების გარეშე შეუძლებელია.

საქორწინო ხელშეკრულების ობიექტად გვევლინება ქონებრივი, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ ქონებიდან და ქონების შესახებ წარმოქმნილი უფლებები და მოვალეობები. კანონის მიხედვით, კერძოდ კი, საქ. სამ. კოდ. 1172-ე მუხლის თანახმად, მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

საქორწინო ხელშეკრულება არის სამოქალაქო გარიგება, იგი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ მხარეებმა თავისუფლად (მხოლოდ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით) გამოავლინონ თავიანთი ნება. იგი არაორდინალური ხასიათისაა იმ თვალსაზრისით, რომ მეუღლეთა ნება ყველა შემთხვევაში არ არის ერთნაირი და ბევრადაა დამოკიდებული მათზე, როგორც სხვადასხვა შეხედულებებისა და შეფასების უნარის მქონე პირებზე, რის გამოც საქორწინო ხელშეკრულებებს არ შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი შინაარსი. თუ ძველი სამოქალაქო სამართლის კოდექსით მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების მომწესრიგებელი ნორმები ატარებდა იმპერატიულ ხასიათს, საოჯახო სამართლის ამ ახალმა ინსტიტუტმა მას მიანიჭა დისპოზიციური ხასიათი, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა მეუღლეთა ფართო არჩევანის შესაძლებლობა კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, განსაზღვრონ საერთო ან ინდივიდუალურ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქორწინო ხელშეკრულების დადება სავალდებულო არ არის, იგი მეუღლეთა სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ თუ ხელშეკრულება დაიდება, იგი მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განაწილების სამართლებრივი საფუძვლის ხასიათს იძენს და უნდა პასუხობდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის კანონით წაყენებულ ზოგად მოთხოვნებს. მეუღლეებს უფლება აქვთ არ გააფორმონ საქორწინო ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში მათი ქონებრივი ურთიერთობები მოწესრიგდება კანონის მოთხოვნათა მიხედვით.

ნაწილი II

საქორწინო ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი გახლავთ მისი შინაარსი. იგი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ნაწილისაგან. მაგალითად, მის ზოგად ნაწილში შეიძლება გადმოცემული იყოს საერთო ხასიათის ის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ საქორწინო ხელშეკრულებისა და მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის თანაფარდობის საკითხს, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ვალდებულებებს ქორწინების შენარჩუნებისა და საოჯახო ურთიერთობათა განმტკიცების სფეროში, განქორწინების შემთხვევისათვის თანაზიარი საკუთრების ობიექტებზე ინდივიდუალური ქონების რეჟიმის დაწესებას, განქორწინებაში თითოეული მეუღლის ბრალეულობის გათვალისწინებას და სხვ. ხელშეკრულების შინაარსის ძირითად ნაწილში შეიძლება განისაზღვროს მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების ცალკეული სახეების სამართლებრივი რეჟიმი. ხელშეკრულებაში შეიძლება აგრეთვე გათვალისწინებული იქნეს დამატებითი პირობები. მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1176-ე მუხლი ეძღვნება საქორწინო ხელშეკრულების შინაარსს. ზემოაღნიშნული მუხლი ამბობს, რომ საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე; საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი; მეუღლეებს შეუძლიათ გაერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც (საერთო ქონება ან/და მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე.)

ქორწინების პერიოდში მეუღლეებმა შეიძლება სხვადასხვა დროს შეიძინონ ესა თუ ის ქონება. მათ უფლება აქვთ არაერთგვარი სტატუსი განუსაზღვრონ თითოეულ მათგანს. ამიტომ სავსებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის დაიდოს რამდენიმე ხელშეკრულება როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება მოიცავდეს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის სამი სახის საკუთრებას — თანაზიარს, ინდივიდუალურსა და წილობრივს. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დადებით, მეუღლეებს უფლება აქვთ მხედველობაში არ მიიღონ კანონის მიერ საერთო საკუთრებისათვის დადგენილი რეჟიმი და აღნიშნული საკითხი გადაწყვიტონ თავიანთი შეხედულებისამებრ. მაგალითად, შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყოს ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების არათანაბრად გაყოფა ან თითოეული მათგანის მიერ საერთო-საოჯახო მიზნებისათვის შეძენილი ქონების ჩათვლა შემძენის ინდივიდუალურ საკუთრებად. აგრეთვე შეს-

აძლებელია, ხელშეკრულების დადებით მეუღლეთა ინდივიდუალურმა საკუთრებამაც შეიცვალოს თავისი ბუნება.

მეუღლეები უფლებამოსილნი არიან, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაადგინონ რეჟიმი, რომელიც მოიცავს ქონების განცალკევებისა და მათი ერთიანობის ცალკეულ ნიშნებს. მაგალითად, მეუღლეთა მიმდინარე შემოსავალი მომავალში შეიძლება იყოს მეუღლეთა საერთო საკუთრება, ხოლო სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება კი – განცალკევებული. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება ეხებოდეს როგორც მომავალში მეუღლეთა მიერ შეძენილ მთელ ქონებას, ისე მის ცალკეულ სახეებს.

ხელშეკრულებაში მეუღლეებმა შეიძლება გაითვალისწინონ წილობრივი ხასიათი ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე, მათ შორის, საცხოვრებელ ფართობზე. მაგალითად, საქორწინო ხელშეკრულებაში მეუღლეებს შეუძლიათ მიუთითონ, რომ ქორწინების განმავლობაში შეძენილ მთლიან ქონებაზე /ან უძრავ ქონებაზე, შეიძლება მიეთითოს საცხოვრებელ ბინაზე და ა.შ./ ერთი მეუღლის წილი შეადგენდეს 1/4-ს, ხოლო მეორის – 3/4. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ თითოელი მათგანის მიერ შეძენილი ქონება შეადგენდეს მის ინდივიდუალურ საკუთრებას.

საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე მეუღლეებმა შეიძლება გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, ასეთ ქონებაში ჩაირიცხება არა მარტო ინდივიდუალური საკუთრების ობიექტები, არამედ თანაზიარი საკუთრებაც. შესაძლებელია არა მთელი ქონების, არამედ ინდივიდუალური და თანაზიარი საკუთრების მხოლოდ ნაწილის გაერთიანება. დანარჩენი ნაწილი კვლავ შეინარჩუნებს კანონით მისთვის დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს. რაც შეეხება გაერთიანებულ ქონებას, იგი მეუღლეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება იყოს მათი საერთო საკუთრება, როგორც თანაზიარი, ისე წილობრივი ფორმით. თუ მხარეები უარს იტყვიან მთელი ქონების ან მისი ნაწილის გაერთიანებაზე, მათ შესაძლებლობა აქვთ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების მიმართ დააწესონ წილობრივი ან განცალკევებული ქონების სამართლებრივი რეჟიმი.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მხარეთა შემოსავლებში მონაწილეობის შესაძლებლობასაც. მაგალითად: ერთი მეუღლე ხელშეკრულებით იღებდეს ვალდებულებას სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალის ნახევარი გადასცეს მეორე მეუღლეს, ხოლო მეორე მეუღლე კი, იღებდეს ვალდებულებას მის მიერ მიღებული დივიდენდების პირველი მეუღლისათვის გადაცემის შესახებ.

მეუღლეებს ასევე შეუძლიათ განსაზღვრონ საოჯახო ხარჯების გაწევის წესიც. მაგალითად, შესაძლებელია საერთო შემოსავლებიდან ყოველწლიური დასასვენებელი ფულადი სახსრების გამოყოფა /საკომუნიკაციო ხარჯები, ბავშვის განათლებაზე გაღებული ხარჯი და სხვა/.

საქორწინო ხელშეკრულების შინაარსის მნიშვნელოვან და აქტუალურ ნაწილს შეადგენს მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის.

ჩემი აზრით, ეს უკანასკნელი (მეუღლეების ან დასაქორწინებელი პირების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის) არის მეტად მნიშვნელოვანი, რადგან მეუღლეებს შეუძლიათ თავიდანვე განსაზღვრონ ქონების ესა თუ ის ცალკეული ნაწილი რომელ მეუღლეს დარჩება განქორწინებისას. აღნიშნულის გათვალისწინება საქორწინო ხელშეკრულებაში აადვილებს განქორწინებისას ქონებრივი დავის გადაწყვეტას, რადგანაც ქონება ან ქონების ცალკეული ნაწილები, რომელზედაც მათ პოტენციურად შეიძლება ჰქონდეთ დავა, განსაზღვრულია და მას შესაძლებელია საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით უკვე ჰქონდეს დაწესებული საკუთრების გარკვეული რეჟიმი.

ზოგჯერ დასაქორწინებელი პირები (ან უკვე მეუღლეები) ცდილობენ შეთანხმებები გაავრცელონ პირადი ურთიერთობის სფეროზეც. მაგალითად, არც თუ ისე იშვიათად მხარეები წინასწარ თანხმდებიან იმაზე, თუ როგორ უნდა ააგონ პირადი ურთიერთობები მომავალში, უყვარდეთ ერთმანეთი, იყვნენ მეუღლის ერთგულნი, არ დაუშვან ღალატი, რამდენი შვილი უნდა იყოლიონ და სხვ. უფრო მეტიც, თანხმდებიან თუ ვინ უნდა დარეცხოს ჭურჭელი, დაალაგოს ბინა და საერთოდ, როგორ წარმართონ საოჯახო საქმიანობა.

პირად ურთიერთობათა სფეროში არსებულ საკითხთა წრე იმდენად ფართოა, რომ ადამიანებს აქვთ საშუალება თავიანთი შეხედულებით განსაზღვრონ ისინი, მაგრამ ამავე დროს, ეს ის საკითხებია, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით მოკლებულია სასარჩელო დაცვას. ამგვარად, საქორწინო ხელშეკრულების შინაარსში დაუშვებელია მეუღლეთა პირადი, არაქონებრივი უფლება-მოვალეობების რეგულირება.

რაც შეეხება საქორწინო ხელშეკრულების მოქმედების ვადას, იგი შესაძლებელია დაიდოს როგორც განუსაზღვრელი, ისე განსაზღვრული ვადით. მეუღლეები ასევე უფლებამოსილნი არიან შეთანხმდნენ, რომ ხუთი წლის განმავლობაში მათი ქონება განცალკევებული საკუთრების რეჟიმის იქნება, ხოლო

ამ ვადის გასვლისთანავე ქონება მოექცევა საერთო-თანაზიარი საკუთრების რეჟიმში. ხელშეკრულებაში ამგვარ დათქმას შესაძლებელია მიზანშეწონილი ხასიათიც გააჩნდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეუღლეები არ არიან დარწმუნებულნი ქორწინების სტაბილურ ხასიათში.

ნაწილი III

საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს განსაზღვრული ვადით, ანდა ამა თუ იმ პირობების დადგომით.

მეუღლეთა ქონებრივი ხასიათის ურთიერთობის კანონით რეგულირების დროს არ არის გათვალისწინებული მეუღლეთა უფლება-მოვალეობების შეზღუდვა, ხოლო საქორწინო ხელშეკრულებით კი, მეუღლეებს შეუძლიათ თავიანთი ნების გამოვლენის საფუძველზე შეზღუდონ ისინი, ოღონდ ერთი პირობით – ასეთი შემთხვევისათვის საერთო საფუძვლებს განსაზღვრავს კანონი, მათი კონკრეტული რეალიზაცია კი მეუღლეებზეა დამოკიდებული. კანონი ადგენს, რომ საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების შეზღუდვა განსაზღვრული დროით ან რომელიმე პირობის დადგომით. სხვა საფუძველით მათი შეზღუდვა არ შეიძლება. მეუღლეებს უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა, მათი ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება მოხდეს. ვადით შეზღუდვას მაშინ ექნება ადგილი, როცა საქორწინო ხელშეკრულება იდება განსაზღვრული დროით, ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, მეუღლეთა მიერ განსაზღვრული ქონებრივი უფლება-მოვალეობები მოქმედებს შესაბამისი ვადით. ამასთან, შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა ვადიან საქორწინო ხელშეკრულებაში ვადასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვაც იქნეს გათვალისწინებული. მაგალითად, შეიძლება მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მათ შორის დადებული ათწლიანი საქორწინო ხელშეკრულების პირველი ხუთი წლის მანძილზე, თითოეულის მიერ მიღებული შემოსავალი მათი ინდივიდუალური საკუთრება იყოს, ხოლო, მეორე ხუთი წლისა მანძილზე მიღებული კი – საერთო თანაზიარი ან კიდევ, მეუღლეებმა ხელშეკრულებით შეიძლება გააკეთონ დათქმა, რომ ბავშვის დაბადებამდე მათი ქონება იქნება განცალკევებული, ხოლო დაბადების შემდგომ – საერთო, ან პირიქით და ა.შ.

კანონი ზუსტად არ მიუთეთითებს იმ პირობაზე, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შეზღუდვას, ასეთი პირობების განსაზღვრა მეუღლეთა კომპეტენციაში შედის. მაგალითად, შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნეს მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შვილის სასკოლო ასაკის მიღწევამდე მიღებული ყველა საჩუქარი ჩაითვალოს თანაზიარ საკუთრებათ და გამოყენებულ იქნეს ბავშვისათვის დამატებითი განათლების მისაღებათ.

მეტად მნიშვნელოვანია, სსკ-ს 1179-ე მუხლი, რომელიც ამბობს, რომ საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი და დავის შემთხვევაში სასამართლოში მიმართვის უფლება. ხელშეკრულებით ასევე არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პირობები, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1179-ე მუხლი ზუსტად განსაზღვრავს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომელთა შეზღუდვა ან შეცვლა იმპერატიულად არის დაუშვებელი ზემოაღნიშნულ კონტრაქტში. მაგალითად: საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი. ამავე მუხლის მეორე ნაწილი ამბობს, რომ „ხელშეკრულებით ასევე არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს". ლ.ჭანტურიას განმარტებით, „საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება ისეთი პირობების გათვალისწინება, რომლებიც მძიმე მატერიალურ და ზნეობრივ მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს", იქვე მას მოაქვს მაგალითი, რომ „არ შეიძლება შეთანხმება იმაზე, რომ მძიმე მატერიალური მდგომარეობის დროს, შრომისუუნარო მეუღლემ დაიწყოს მათხოვრობა, ან ქმრის მიერ სამუშაოს დაკარგვისას ცოლმა პროსტიტუციით არჩინოს ოჯახი. ასეთი პირობების გათვალისწინება ერთი მეუღლის მოთხოვნით არ შეიძლება მაშინაც კი, როდესაც მეორე მეუღლე ამაზე თანახმაა".

ზემოაღნიშნული განმარტება, ჩემი აზრით, პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო სამართლის კოდექსში არსებულ ნორმას მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების შესახებ. გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის განმარტება ბევრად უფრო ფართოდ უნდა იქნეს გაგებული.

საქორწინო ხელშეკრულება რეგულირების შესაძლებლობით მოიცავს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანდ დამოკიდებულია მათ ნებასურ-ვილზე. ამ სფეროში კანონის მხრიდან არავითარი

მეზღუდვა არ არსებობს. რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა სხვა სახეებს, მათ მიმართ კანონმდებელი განსაზღვრულ სიფრთხილეს იჩენს. ეს სფერო, ძირითადად, მოიცავს მეუღლეთა ქონებრივ ვალდებულებებს და ზოგიერთ მათთან დაკავშირებულ უფლებას. კერძოდ, საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება მეუღლეთა სურვილის მიხედვით შეიცვალოს კანონით დადგენილი ურთიერთრჩენის მოვალეობა, რადგან მის შეცლას ყოველთვის შეიძლება მოჰყვეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივეს მატერიალური მდგომარეობის გაუარესება; არ შეიძლება შობლები შეთანხმდნენ იმაზე რომ შვილები მხოლოდ ერთ-ერთმა მეუღლემ არჩინოს და აღზარდოს და მეორე საერთოდ გათავისუფლდეს მშობლის უფლება-მოვალეობისაგან; არ შეიძლება მეუღლეთა შეხედულებით შეიცვალოს მათი საალიმენტო ვალდებულებანი, არა მარტო ერთმანეთის მიმართ, არამედ სხვა პირთა მიმართაც.

საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, მის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის კანონით გათვალისწინებული უფლების შეცვლა, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა შესახებ კონსტიტუციურ პრინციპებსა და დებულებებს.

ასევე მნიშვნელოვანია განსახილველი 1179-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება ისეთი პირობების გათვალისწინება, რომლებიც მძიმე მატერიალურ და ზნეობრივ მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს. აყენებს თუ არა ხელშეკრულების ესა თუ ის პირობა ერთ-ერთ მხარეს მძიმე მატერიალურ თუ ზნეობრივ მდგომარეობაში, რთული განსასაზღვრია, ვინაიდან ხელშეკრულება შედგენილი მხარეების მიერ სანოტარო წესით დამოწმებისას არ ექვემდებარება მისი შინაარსის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას. ზემოხსენებულის დადგენა /ხელშეკრულებაში კაბალური პირობის არსებობა-არარსებობის საკითხი/ მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა.

ნაწილი IV

საქორწინო ხელშეკრულება, ისევე როგორც ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა შორის, ნებელობითი აქტია. ამიტომ მისი დადება და შეწყვეტაც მეუღლეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ არის მითითებული კანონში იმის შესახებ, რომ საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლის მეორე ნაწილი იმპერატიული ნორმაა, რომლის მიხედვითაც ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია.

მეუღლეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ თავის კრედიტორებს საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლისა და შეწყვეტის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვალე-მეუღლე შემდგომში (კრედიტორთან ქონებრივი დავის დროს) ვეღარ დაეყდრდნობა საქორწინო კონტრაქტის არსებობას, რომლის პირობებიც ხელს უშლის მას ნაკისრი მოვალეობების შესრულებაში. ამდენად მოვალე-მეუღლე ვალდებული იქნება დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა, საქორწინო ხელშეკრულების პირობების მიუხედავად, რომელთა მიხედვითაც შეიცვალა მოვალე-მეუღლის მატერიალური მდგომარეობა (მოვალე-მეუღლის ქონება გადავიდა მეორე მეუღლის საკუთრებაში ან გადაიქცა მეუღლეთა თანასაკუთრებად ან შემცირდა მოვალე-მეუღლის წილი მეუღლეთა საერთო საკუთრებაში), ამასთან, საქორწინო კონტრაქტი მაინც ნამდვილად ითვლება.

მეუღლის ვალდებულება, შეატყობინოს თავის კრედიტორს საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ, შესაძლებლობას აძლევს კრედიტორს დროულად მიიღოს ინფორმაცია მოვალის მატერიალური მდგომარეობის შესახებ და შესაბამისად, თუ იგი გაუარესდა, მიიღოს აუცილებელი ზომები თავისი ინტერესების დასაცავად. ამგვარი ინფორმაციის შემდეგ, კრედიტორი ვალდებულია მოსთხოვოს მეუღლეებს არ მოახდინონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მოსთხოვს ვალდებულ მეუღლესა და მას (კრედიტორს) შორის არსებული ხელშეკრულების მოშლას და მიყენებული ზიანის ანაზღაურების კანონით განსაზღვრული წესითა და პირობებით. საოჯახო კანონმდებლობა არ ავალდებულებს მოვალე-მეუღლეს გააცნოს კრედიტორს საქორწინო კონტრაქტის შინაარსი, მაგრამ აღნიშნული ნორმის მიხედვით, მოვალე-მეუღლემ უნდა გააცნოს კრედიტორს კონტრაქტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მოვალის მატერიალური მდგომარეობის შეცვლას.

მოვალე მეუღლის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა უფლებას ანიჭებს კრედიტორს, რომ თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. მას შეუძლია მოითხოვოს მეუღლეებს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან საერთოდ, შეწყვეტა გარემოებების არსებითი ცვლილებების გამო. ამ შემთხვევაში გარემოებების არსებით ცვლილებად ჩაითვლება მეუღლეთა შორის საქორწინო კონტრაქტის პირობების შეცვლა ან შეწყვეტა, რომელმაც მოვალე მეუღლის მატერიალური მდგომარეობის ისეთი გაუარესება გამოიწვია, რომელიც შეუძლებელს ხდის მის მიერ

საძიებელი

საკონსტიტუციო სამართალი

ვალერი ხაბურძანია – სუვერენიტეტი ქართულ სამართლებრივ აზროვნებაში 7

ვასილ გონაშვილი – პარლამენტის წევრის მანდატის მოქმედების ვადა საზღვარგარეთის ქვეყნებში 14

სამოქალაქო სამართალი, პროცესი

ბესარიონ ზოიძე, თამარ ზარანდია – მოძღვრება ვადების (დროის) სამართლებრივი ბუნების შესახებ 18

პოლიკარპე (თემურ) მონიავა – ფიზიკური პირის საქმიანი რეპუტაცია 26

ბაადურ ყიფიანი – თანამედროვე საბანკო დაწესებულებათა კლასიფიკაციის საკითხისათვის 28

ლევან ნანობაშვილი – მაუწყებლობის ორგანიზაცია, როგორც მომიჯნავე უფლების სუბიექტი საავტორო სამართალში 33

დავით თოდრაძე – საგარეო ეკონომიკური დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები 39

გიორგი თუმანიშვილი (უმცროსი) – საქორწინო კონტრაქტი, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი 46

მაია მგელაძე – ტურიზმის ხელშეკრულების ცნება და არსი 52

სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია

ზაზა ბერიზაშვილი, თამაზ ზაქარაშვილი – პასუხისმგებლობა ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარებისათვის ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში 60

იური გაბისონია – ნარკოტიკულ დანაშაულებთან ბრძოლის თანამედროვე საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული საკანონმდებლო სამართლებრივი და „მომიჯნავე" პრობლემები 63

იოსებ ალავიძე – ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება 70

დავით წულაია – ეკონომიკურ დანაშაულობათა თავიდან აცილების ზოგიერთი ასპექტი 75

სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა

შოთა ფაფიაშვილი – ვცდილობთ, ღირსეულად დავიცვათ და გავაგრძელოთ სამეცნიერო-პედაგოგიური ტრადიციები 85

ომარ ჯორბენაძე – დაკავება, როგორც სისხლისსამართლებრივი საპროცესო იძულების ღონისძიება (ზოგიერთი საკითხი) 89

შენგელი ფიცხელაური – პოლიგრაფი დანაშაულის გამოძიებაში 98

მერაბ იაკობაძე – სისხლის სამართალწარმოებაში საჯაროობისა და დისპოზიციურობის პრინციპების ზოგიერთი ასპექტი 101

გიორგი ჭანტურიძე – დამცველის პროცესუალური თავისებურებები წინასწარი გამოძიების პროცესში 105

მამუკა ღვინიაშვილი – სასამართლო რეფორმა გრძელდება 109

ადმინისტრაციული სამართალი

მაკა სალხინაშვილი – რამდენიმე მოსაზრება საქართველოს „ადმინისტრაციული გადაცდომისა და მის საქმეთა წარმოების შესახებ" კოდექსის პროექტზე 112

ია ხარაზი – საბაჟო რეჟიმების ადგილი სამართლებრივი რეჟიმების სისტემაში 114

გიორგი მელაძე – სახელმწიფო – კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის გარანტი 118

ანი მორგოშია – გერმანული ტრადიციები საჯარო მოსამსახურეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროში 120

ეკა ნიკოლაძე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბაჟო დაწესებულებანი 122

საერთაშორისო სამართალი

რუსუდან ობოლაძე – რამდენიმე საკითხი ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნათა საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის შესახებ 126

ეკა ზოდელავა – ევროპა-კავკასია-აზიის (ტრასეკა) სატრანსპორტო დერეფნის საერთაშორისო ორგანიზაციად ჩამოყალიბების პერსპექტივები 134

მაია ბითაძე – ბიოუსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებული საერთაშორისო ლეგალური ინსტრუმენტები და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივის ანალიზი 139

ბესიკ ბუთურიშვილი – კომპეტენტური მართლწესრიგის სასამართლოს მიერ გაუქმებული უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება (გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების ეროვნულ-სამართლებრივი რეჟიმი) 144

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თეორია

გიორგი დავითაშვილი – ალექსანდრე ყაზბეგი ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე 147

გიორგი თუმანიშვილი – ქურდობა დელიქტურ ვალდებულებათა რაკურსში ძველი ციკილური სამართლის მიხედვით 152

ნაირა ნაკაშიძე – სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის ისტორიული ასპექტები 156

მარიამ ხოფერია – მზითევის ბედი ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში 158

Rezume 160

Резюме 165

კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ამ დროს თავისთავად იგულისხმება, რომ კრედიტორს წინასწარ არ შეეძლო გარემოებათა არსებითი ცვლილებები გაეთვალისწინებინა.

თუ კრედიტორის მოთხოვნის შემდეგ მეუღლეები გარიგების პირობების შეცვლაზე ვერ შეთანხმდებიან, მაშინ სასამართლოს შეუძლია გარიგება მოშალოს ზოგადი წესით ან შეცვალოს ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით. ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მოვალის მატერიალური მდგომარეობის არსებითი გაუარესების საფუძველზე, შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით გამონაკლის შემოხვევებში, როდესაც გარიგების შეწყვეტა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს ან ერთ-ერთ მხარეს მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს.

თუ მეუღლეები კრედიტორთან შეთანხმებით მოშლიან ან შეცვლიან გარიგების პირობებს, მაშინ ახალი პირობები ან გარიგების მოშლა ძალაში მხარეთა შეთანხმების მომენტიდან შევა, თუ ახალი გარიგებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სამოქალაქო კოდექსი განიხილავს რა საქორწინო კონტრაქტს, როგორც ჩვეულებრივ ქონებრივი ხასიათის გარიგებას, ავრცელებს მასზე გარიგებების შეწყვეტის საერთო პრინციპებს.

საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის კანონით დადგენილი საფუძვლებია:

1. განქორწინება;
2. ხელშეკრულების ვადის გასვლა;
3. სსკ-ს 1179-მუხლის პირობების დაუცველობა;
4. შემდგომში ბათილად ცნობილი ქორწინების რეგისტრაციამდე ხელშეკრულების დადება.

განქორწინების შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მასში გათვალისწინებული პირობები შესრულდება. კანონი ასევე ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც მეუღლეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ პირობები, რომელთა შესრულების ვალდებულება დგება განქორწინების შემდეგ პერიოდშიც. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში დარჩება იმ დრომდე, სანამ იარსებებს აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა.

მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო ხელშეკრულება გარკვეული ვადითაც დადონ. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად. მეუღლეებს ვადაგასული ხელშეკრულების გაგრძელება არ შეუძლიათ. მათ უფლება აქვთ, ასეთი სურვილის არსებობისას დადონ ახალი საქორწინო კონტრაქტი.

საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია შემდგომში ბათილად ცნობილი ხელშეკრულების რეგისტრაციამდე, კანონის მიხედვით ითვლება ბათილად.

დასკვნა

არსებული სამართლებრივი ბაზა გვაძლევს საშუალებას, რომ გამოვიყენოთ საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ამავდროულად საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულება და ინფორმირებულობის დაბალი დონე ხელს უშლის აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვასა და დამკვიდრებას.

საქორწინო კონტრაქტი მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ალტერნატიული საფუძველია, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ მეუღლებმა თვითონ განსაზღვრონ მათთვის ხელსაყრელი სამართლებრივი რეჟიმი ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე მთლიანად ან მის ცალკეულ ნაწილებზე.

საქორწინო კონტრაქტით მხარეებს ეძლევათ საშუალება გამოავლინონ თავისი თავისუფალი ნება, რაც მომავალში მათი ქონებრივი ინტერესების დაცვის გარანტად გვესახება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, 1997.
2. რ. შენგელია, საოჯახო სამართლის კომენტარი, თბ., 1999.
3. შ. ჩიკვაშვილი, „საოჯახო სამართალი“, თბ., 2000.
4. ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V, გამომც. „სამართალი“, თბ., 2000.